პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФИЗКУЛЬТУРА И СПОРТ

№ 68 (4578)

1972 წ. 6 აპრილი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



სსრ კავშირის ჩემპიონატი





ამ სურათებზე თქვენ ხედავთ სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონებს ტანვარჯიშში, მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს, გროსნოელ სტუდენტ ლ. ტურიშჩევასა და ვლადიმირელ სტუდენტ ნ. ანდრიანოვს. ამ სპორტსმენებმა ეს მაღალი წოდება კიევში ახლახან დამთავრებულ 43-ე საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში მოიპოვეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი პრიზი საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის შეიარაღებული ძალების ჯანმოვარჯიშეებს გადაეცათ. II ადგილზეა „დინამო“, III — „ბურევესტნიკი“.

გამხიტაშვილის კარგი სტარტი

ტაშკენტი, 4 აპრილი. უზბეკეთის დედაქალაქის მახლობელ კოლმეურნეობა „პოლიტოტდელში“ დაიწყო სსრ კავშირის სოფლის მოშაშე ქალთა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 12 მოშაშე მონაწილეობს. 3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, ოსტატი ავაფონოვა (მოსკოვი), ოსტატი ლაზარენკო (გორკი) და ოსტატობის კანდიდატი თ. გამხიტაშვილი (თბილისი) — 2,5-2,5 ქულა.

ვ. ნინუა,
(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

დიდი და პატარა სტარტზე გამოდის

ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში დასანერგად, პროფკავშირული, კომკავშირული, ფიზკულტურული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებებისადმი დახმარება მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისთვის გაწეულ მუშაობაში, — ასეთია მშდ ფიზკულტურული კომპლექსის საკავშირო საბჭოს ამოცანები, რომლის პირველი სხდომაც მოსკოვში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო 3 აპრილს.

მშდ-ს საკავშირო საბჭოს დებულება შეკრებილთ გააცნო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ივონინმა.

— საკავშირო საბჭოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, — თქვა მან, — მშდ კომპლექსის ყოველმხრივ გამოყენება მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ ლ. და სპორტული მუშაობის უკეთ ორგანიზაციისთვის, მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური დასვენებისთვის, ყოველმხრივ განვითარებული და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანების აღზრდისთვის, რომლებსაც მაღალყოფიერი შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვის უნარი შესწევთ.

პირველ სხდომაზე, რომელსაც მშდ-ს საკავშირო „საბჭოს თავმჯდომარე, მფრინავი-კოსმონავტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ლეონოვი წარმართავდა, დამსწრეთ მოისმინეს ინფორმაცია ახალი ფიზკულტურული კომპლექსის პირველ ნაბიჯებზე. მშდ-ს „ცენტრალურ შტაბში“ ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები, რომ ახალი კომპლექსის სტარტზე ფიზიკური კულტურის ათასობით თაყვანისმცემელი გამოდის. ყველაფერი მოწმობს, რომ კომპლექსი მოეწონათ საბჭოთა ფიზკულტურელებს.

დასასრულს განიხილეს საორგანიზაციო საკითხები. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დამტკიცებული არიან პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანი ვ. ბოგატიკოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. არუთინიანი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივონინი, დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. სკვორცოვი.

ორგანიზებულად დაიწყეს

გორის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა გულმოდგინე მუშაობა გააჩაღეს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დასანერგად. სკოლებში, საწარმოებში, დაწესებულებებში შეიქმნა ასაკობრივი ჯგუფები, ემზადებიან ნორმატივების ჩასაბარებლად.

სტარტი კარგად აიღეს 1-ლი, მე-2, მე-6 და მე-9 საშუალო სკოლებმა. აქ უკვე დაიწყეს ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ბამბეულის კომბინატში, საკონსერვო კომბინატში, ხელსაწყოთმშენებელ ქარხანაში და სხვა საწარმო-დაწესებულებებში შეიქმნა ასაკობრივი ჯგუფები, რომლებსაც სპორტის გამოცდილი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. აღსანიშნავია, რომ ასობით ხანდაზმულმა ნორმატივების ჩაბარების სურვილი გამოთქვა.

ამ დიდ და სერიოზულ საკითხს მიეძღვნა მეთოდური თათბირსემინარი, რომელიც ახლახან მოაწყო ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა. სკოლების ფიზალზრდის მასწავლებლებს, სამრეწველო საწარმოთა ფიზკულტურის მეთოდისტებს, სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს მშდ საკავშირო კომპლექსის მნიშვნელობასა და ამოცანებზე ესაუბრა გორის პედინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე გ. ანიკაშვილი. თათბირ-სემინარზე სიტყვით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი.

საქმიანი ღონისძიებანი შეიმუშავეს „განთიადმა“, „სპარტაკმა“, „დინამომ“, „ბურევესტნიკმა“.

ნაყოფიერად მუშაობენ მე-9 საშუალო სკოლაში. ფიზაღზრდის მასწავლებელმა ა. ზაუტაშვილმა, რომელსაც საერთოდ ჩინებულად აქვს დაყენებული საქმე სკოლაში, ჩვენთან საუბარში განაცხადა: „მუშაობას ყველა ასაკობრივ ჯგუფში ერთნაირი პასუხისმგებლობით მოვკიდეთ ხელი, მაგრამ უფრო მეტ ინტერესს ვიჩენთ დამამთავრებელი კლასებისადმი. გადაწყვეტილი გვაქვს მაისის პირველ ნახევარში დავამთავროთ მთლიანი კომპლექსის ჩაბარება“.

კარგად მუშაობენ მე-6 საშუალო სკოლამიც (ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. ამბროლაძე). აქ 45 ჭაბუკმა წარმატებით ჩააბარა ნორმატივები მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

ყველა თავისი საქმითაა გართული

ვილნიუსი, 4 აპრილი. საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე კოლექტივები სატურნირო ცხრილში სამ ჯგუფად განლაგდნენ. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ამ ჯგუფებს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს, ყველას თავისი საქმე აქვს, ყველა თავისი პროგრამის შესრულებითაა გართული, ოღონდ ისე, რომ მათი ინტერესები ერთმანეთს არ დაემთხვეს.

პირველ ჯგუფში არიან ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი“. ისინი რამდენიმე თავით მაღლა დგანან მეტოქეებზე და მათთან ყოველგვარი სატურნირო კავშირი გაწყვეტილი აქვთ. მერე მოდის ექვსი რიგითი გუნდი, რომლებიც მხოლოდ ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას. ძალები აქაც თითქმის თანაბარია. სწორედ ამიტომ, მეორე ჯგუფის ექვსივე წარმომადგენელს უფლება აქვს ბრინჯაოს მედლებზე იოცნებოს. საკმაოდ დამოუკიდებელი ერთეულია მესამე ჯგუფიც, რომელიც აგერ უკვე მესამე თვეა გემეტრიულად ტკეპნის ერთ ადგილს. თბილისის „ბურევესტნიკი“ და ვილნიუსის „სტატიბა“, როგორც ჩანს, ტყულუბრალოდ იშლიან ნერვებს. მათ ეშაღლესი ლიგის დატოვება აქვთ მისაჯილი და ამ განაჩენს ვერავითარი ძალა ვერ შეცვლის.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატში ძალები უთანაბრო და ამან ერთგვარად დაკარგა ინტერესი ბრძოლას. მართლაც ძნელია აგაღელვოს ტურნირმა, როცა ფინიშამდე რამდენიმე თვით ადრე იცი, ვინ გახდება ჩემპიონი, ვინ დატოვებს უმაღლეს ლიგას. ყველაფერი მშვიდად და ზომიერად ხდება. რამდენადმე იცვლება მხოლოდ ბრინჯაოს პრეტენდენტთა ვინაობა, მაგრამ მარტო III ადგილისთვის ბრძოლით ჩემპიონატის დირსება, რა თქმა უნდა, არ უნდა განისაზღვრებოდეს.

ავიღოთ, მაგალითად, კიევის „სტროიტელის“ დღევანდელი მატჩი ლენინგრადის „სპარტაკთან“. ლენინგრადელები სატურნირო ცხრილში II ადგილზე არიან, უკრაინელები კი III ადგილის პრეტენდენტებად ითვლებიან. წინა თანამედროვე კალათბურთში ორივე გუნდს დიდი აქვს. არადა, მაყურებლებს თამამად შეეძლოთ გემრიელად გამოძინება ამ მატჩის მსვლელობაში. „სტროიტელი“ იმითაც კი ვერ გაიმართლებს თავს, რომ პოლივოდა და კოვალენკო არ ჰყავდა. 50 ქულას ერთ მატჩში კარგა ხანია ქალთა კოლექტივებმაც გადააჭარბეს, მაგრამ კიდევ უფრო გასაკვირია, რომ უკრაინელებმა პირველ ტაიმში მხოლოდ ცხრაჯერ ისროლეს ზუსტად კალათში. გაიმარჯვა „სპარტაკმა“ — 76:47 (32:18).

გაუგებარი მარცხი იწვნია თბილისის „დინამომაც“. საქმე ის არის, რომ თბილისელებმა პირველი ტაიმი კიევის ჩრმიელებს 4 ქულით მოუგეს (36:32), მეორე ტაიმი კი წააგეს... 23 ქულით. 20 წუთში 23 ქულა — ამას მართლაც მოხერხება უნდა. ამ გამარჯვების (77:58) შემდეგ კიევის ასკ თბილისის „დინამოს“ და „სტროიტელს“ გაუთანაბრდა.

ცსკა-მ ძნელად გაიმარჯვა ტარტუს „კალევთან“ ორთაბრძოლაში. შეხვედრის ბედი ედემკომ გადაწყვიტა. ამან უკანასკნელ წუთზე დააწინაურა თავისი გუნდი და წარმატებით მოიგერია ესტონელთა ბოლო შეტევა. შეხვედრის შედეგია 82:80 (43:36) ჩემპიონის სასარგებლოდ.

მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი“ — 72:60, ვილნიუსის „სტატიბამ“ კი თავისი მთავარი მეტოქე — თბილისის „ბურევესტნიკი“ — 76:74 (45:38).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 აპრილისთვის

	თ.	ნ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	23	22	1	1958—1588	22
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	23	21	2	1640—1427	21
„სტროიტელი“ (კიევი)	23	11	12	1616—1609	11
„დინამო“ (თბილისი)	23	11	12	1731—1796	11
ასკ (კიევი)	23	11	12	1555—1662	11
„კალევი“ (ტარტუ)	23	10	13	1678—1700	10
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	23	9	14	1677—1710	9
„დინამო“ (მოსკოვი)	23	9	14	1650—1673	9
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	23	6	17	1556—1683	6
„სტატიბა“ (ვილნიუსი)	23	5	18	1598—1821	5

გუშინ...

ვილნიუსში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი: გათამაშების ლიდერმა ცსკა-მ ანგარიშით 92:66 (47:36) სძლია თბილისის „დინამოს“.

კვლავ გაურკვეველია...

ბელგრადი, 5 აპრილი. ფიდე-ს პრეზიდენტმა მ. ეივემ აცნობა ჰავანაში მსოფლიო პირველობაზე მატჩის ორგანიზატორებს იუგოსლავიის დედაქალაქში, რომ ამერიკელი დიდოსტატი რ. ფიშერი „მზად არის და სურს ითამაშოს იმავე ვადებსა და ქალაქებში“, როგორც ეს განსაზღვრული იყო უწინ ხელმოწერილი შეთანხმებით. ეს ცნობილი გახდა ამსტერდამში ფიდე-ს ბიუროში აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის ედმონდსონის ხელმოწერით მიღებული დეპეშიდან.

იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბელგრადში მატჩის ორგანიზატორებს, რომელთაც ფიშერის დამატებითი მოთხოვნის გამო უარი თქვეს დადგენილ ვადებში (22 ივნისი-18 ივლისი) მატჩის გამართვაზე, ეივემ სთხოვა ხელახლა და სასწრაფოდ განიხილონ ეს საკითხი. ამ თხოვნაზე უარყოფითი პასუხი იქნა მიცემული, ვინაიდან იუგოსლავიის მხარეს მიაჩნია, რომ ედმონდსონის დეპეშა არ წარმოადგენს ამომწურავ პასუხს ფიდე-ს ულტიმატუმზე. ამ დეპეშაში არ ჩანს გარანტია, რომ ფიშერი შეთანხმების ყველა პუნქტს დაიცავს.

გაზაფხულის თასი — „დინამოს“



დამთავრდა თბილისის რეგბისტთა გუნდების ასპარეზობა გაზაფხულის თასზე. პრიზს საქართველოს ჩემპიონები — დინამოელი სპორტსმენები დაეპატრონენ. ბოლო შეხვედრა მათ უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ჰქონდათ და გაიმარჯვეს — 30.3. თითქმის მთლიანად გადახალისებული „დინამო“ ლამაზად, კორექტულად თამაშობდა. წლეულს მისი მთავარი ამოცანაა საქართველოს ჩემპიონობის შენარჩუნება და საკავშირო პირველობის უმაღლეს ლიგაში დაბრუნება.

ჩინებულ ფორმაშია თასის შარშანდელი მფლობელი „სპარტაკიც“, რომელმაც ბოლო ორი შეხვედრა მოიგო: უნივერსიტეტთან — 22:6 და პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან — 22:12. სპარტაკელებს II ადგილი ხვდათ.

სტუდენტი რეგბისტებისთვის (პოლიტექნიკური ინსტიტუტი და უნივერსიტეტი) ასეთ ტურნირებში მონაწილეობა სასარგებლოა, მით უმეტეს, რომ მათი წლევანდელი კალენდარი საკმაოდ მრავალფეროვანია. ორივე გუნდს საიმედო სპორტსმენები ჰყავს და შესანიშნავი ტრადიციებიც (საქართველოს საუკეთესო გუნდებში ამჟამად სწორედ ამ ორ კოლექტივში აღზრდილი რეგბისტები თამაშობენ) აქვს.

სასიხარულოა, რომ ქართველი რეგბისტების ოჯახს შეემატა კიდევ ერთი კოლექტივი — „სინათლე“. მიუხედავად იმისა, რომ პირველად გამოვიდა ასპარეზზე, ამ გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

დ. თაქთაქიშვილი.

* * *

სურათზე: „სპარტაკისა“ და უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

სსრკ 50 — დიდი იუბილეს ეძღვნება

წლეულს სოფლის სპორტსმენები ორ დიდ რესპუბლიკურ ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას — ეროვნულ სახეობებში სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადაში და საქართველოს სოფლის ახალგაზრდობის სპარტაკიადაში. ეს ორივე ღონისძიება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება.

ეროვნული სახეობების სპარტაკიადის პროგრამაში შედის ქართული ჭიდაობა, ლელობურთი, ცხენოსნობა, მშვილდოსნობა და ძალოსანთა კონკურსი. რაც შეეხება საქართველოს სოფლის ახალგაზრდობის სპარტაკიადას, მის პროგრამაში 15 სახეობაა: თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, სამბო, საგზატკეცილო ველოსპორტი, ფრენბურთი, ცხენოსნობა (კლასიკური სახეობები), მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, ხელბურთი, სასტენდო და ტყვიის სროლა, ჩოგბურთი, ძალოსნობა და ჭადრაკი.

უკვე შემუშავებულია ორივე სპარტაკიადის დებულებები, შეჯიბრებათა კალენდარი. სპარტაკიადები გაიმართება სამ ეტაპად. თავდაპირველად ტურნირები ჩატარდება ფიზკულტურულ კოლექტივებში, შემდეგ რაიონებსა და ოლქებში, ბოლოს კი ფინალური ბრძოლები დაიწყება.

მოზარდებმა ვერაფრით გაგვახარეს

შეჯამდა ცურვაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე საკავშირო ტურნირის შედეგები. როგორც ვიტყობინებოდით, მოზრდილები ლენინგრადში ასპარეზობდნენ, მოზარდებს კი მოსკოვის „დინამოს“ 25-მეტრიანი აუზი მასპინძლობდა. ორივე აუზში ბევრი საკავშირო რეკორდი დამყარდა. მარტო ბოლო დღეს მოსკოვის ტურნირი მოზარდთა ოთხი რეკორდით და ერთი უმაღლესი მიღწევით აღინიშნა: კუიბიშეველმა ი. პოტიაკინმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში 1.00,6 აჩვენა, ე. პოზდიაევამ (მოსკოვის ოლქი) 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.14.7; 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში პოზდიაევამ, ვ. ალიოშინამ, ი. კრეტალოვამ და ი. ევგრაფოვამ 3 წუთსა და 40,9 წამში დაამთავრეს დისტანცია. შემდეგ ჭაბუკები — პოტიაკინი, ი. ჩერდაკოვი, ს. ზატკოვი და ვ. ტეტეროვი 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში დაეუფლნენ რეკორდს — 4.02,7. უმაღლესი მიღწევა დაამყარა საშუალო ასაკის წარმომადგენელმა ნ. სერკინმა (ბაქო), რომელმაც 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში 1.03,5 აჩვენა. სულ მოსკოვში მოზარდთა 17 საკავშირო რეკორდი გაუმჯობესდა.

რა შედეგები მოიპოვეს საქართველოს მოცურავეებმა ლენინგრადსა და მოსკოვში? ლენინგრადში თ. ლეკვეიშვილის, ი. ლისეცკისა და ვ. კრასკოს შედეგები ცნობილია. დავუმატებთ, რომ 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალში ლისეცკიმ 16.27,1 აჩვენა, III ადგილი მოიპოვა და საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა მოზრდილთა ტურნირში 79 ქულით V ადგილი დაიკავეს. ჩვენებს აჯობეს მოსკოვის (428 ქულა), რსფსრ-ს (405), უკრაინისა (208) და ლენინგრადის (87) კოლექტივებმა.

მოსკოვში კი საქართველოს მოზარდებმა ვერაფრით გაგვახარეს, მხოლოდ 7 ქულა მოაგროვეს და XII ადგილით დაკმაყოფილდნენ. ეს მეტად უხეირო შედეგია. თუ გუნდის ხელმძღვანელობამ გადამჭრელ ზომებს არ მიმართა, საეჭვოა, რომ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში ჩვენ უკეთესი ადგილი დავიკავოთ.

ტურნირების შემდეგ შედგა ქვეყნის ნაკრები, რომელიც მოსკოვში გდრ-ის ნაკრებთან საერთაშორისო მატჩს გამართავს.

რ. მაღრაძე.

ფოტორეპორტაჟი

როგორც ვიტყობინებოდით. ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკის მოსწავლე მძლეოსანთა პირად-გუნდური საგაზაფხულო პირველობა. სამხტომსა და სიგრძეზე ხტომაში გამარჯვება სამხრეთ ოსეთის გუნდის წევრმა მ. ჩარაევმა მოიპოვა. ვაჟთა შორის 4×100 მეტრზე ესტაფეტაში გაიმარჯვა თბილისის კვარტეტმა.

* * *

სურათებზე: მ. ჩარაევი სამხტომში ასპარეზობისას; მ. ოგანეზოვი ბოლო ეტაპზე ესტაფეტას გადასცემს თბილისელთა გუნდის ლიდერს დ მელაძეს.

ო. გელაშვილის ფოტოები.





დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა საყურადღებოდ!

ისევე. როგორც წინა წლებში, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის საგაზაფხულო სასესიო-ლაბორატორიული მეცადინეობა 13 აპრილს დაიწყება V კურსის სტუდენტთა საორგანიზაციო პრაქტიკით.

პირველი ორი დღე თეორიულ განაყოფს დაეთმობა, დაკომპლექტდება ბრიგადები და შემდეგ სტუდენტები საორგანიზაციო პრაქტიკას გაივლიან თბილისის საწარმო-დაწესებულებათა სპორტულ კოლექტივებში 29 აპრილამდე. ამ პერიოდში მათ საშუალება ექნებათ მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაციები, ჩათვალონ საკურსო ნაშრომები, ჩააბარონ მე-9 სემესტრით გათვალისწინებული საგნები. ამ დროს (13-დან 29 აპრილამდე) სტუდენტები ვალდებული არიან სამუშაოდან განთავისუფლდნენ (საფუძველი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 720 ბრძანების მე-3 პუნქტი).

შენიშვნა: საორგანიზაციო პრაქტიკიდან განთავისუფლდებიან სტუდენტები, რომლებსაც ფიზიკური კულტურის კოლექტივში მუშაობის საორგანიზაციო სტაჟი აქვთ არანაკლებ 5 წლისა, რისი დამადასტურებელი საბუთიც უნდა წარმოადგინონ პრაქტიკის დაწყებამდე.

3 მაისს ამავე კურსის სტუდენტებისთვის დაიწყება უკანასკნელი, მე-10 სემესტრი. სასწავლო გეგმის მიხედვით სამეცადინო ცხრილში შეტანილი იქნება: მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები, ფიზიკური კულტურის ორგანიზაცია და სპეციალიზაცია. საიმისოდ, რომ V კურსის სტუდენტები მომზადებული შეხვდნენ სახელმწიფო გამოცდებს, დამატებით ჩატარდება მეცადინეობა ფიზიოლოგიაში, ფიზიკური აღზრდის თეორიასა და მეთოდიკაში.

V კურსის სტუდენტები, რომლებსაც არ ექნებათ მე-9 სემესტრის დავალიანება, 3-დან 25 მაისამდე სამუშაო ადგილებიდან განთავისუფლდებიან ხელფასის შენახვით.

სახელმწიფო გამოცდებზე დაშვებული კურსდამთავრებული სტუდენტები ასევე სარგებლობენ შეღავათებით 3-დან 22 მაისამდე.

დანარჩენი სტუდენტებისთვის (I, II, III, IV კურსები) ზაფხულის მეცადინეობა დაიწყება 5 ივნისს.

წინა წლებისგან განსხვავებით სტუდენტებს უფლება ეძლევათ 5 მაისამდე ჩათვალონ და ჩააბარონ წინა სემესტრის საგნები, მიიღონ გამოძახების ფურცლები და მომზადებული შეხვდნენ ზაფხულის სესიას. საამისოდ დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი, ინსტიტუტის ყველა კათედრა მზადაა ყოველდღიური კონსულტაცია და დახმარება გაუწიოს სტუდენტს, რომელიც მოისურვებს დაფაროს დავალიანება. გარდა ამისა, ყოველი კვირის პარასკევი და შაბათი ინსტიტუტში გამოცხადებულია „დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დღედ“: 10-დან 17 საათამდე საგნების მიხედვით ჩატარდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები.

დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები ზაფხულის სესიების დაწყებამდე ვალდებული არიან დეკანატში წარმოადგინონ ცნობები სამუშაო ადგილებიდან. IV კურსზე გადასასვლელად, გარდა აკადემიური მოსწრებისა, საჭიროა მუშაობა ფიზიკური კულტურის პროფილით.

ფაკულტეტის დეკანატი.

ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი ო. მურვანიძე გვატყობინებს:

I ადგილზე — მანქანათმშენებლები

დამთავრდა „განთიადის“ საოლქო საბჭოს სპარტაკიადა, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მიეძღვნა. ფრენბურთელთა შეჯიბრების ფინალში სამკერვალო საწარმოო გაერთიანების გუნდმა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივს სძლია (2:1) და I ადგილი დაიკავა.

მანქანათსაშენი ქარხნის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა ასპარეზობები ტყვიის სროლაში, ჭადრაკსა და შაშში.

მძლეოსნობაში ყველას აჯობეს ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზის სპორტსმენებმა. ტყავის საწარმოო გაერთიანების წარმომადგენელმა ს. მარჩენკომ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი სიგრძეზე ხტომაში — 596 სმ.

მაგიდის ჩოგბურთში გაიმარჯვა ხის დამმუშავებელი კომბინატის გუნდმა, კალათბურთში — ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ნაკრებმა.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა არავის დაუთმო მანქანათსაშენი ქარხნის კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სამკერვალო საწარმოო გაერთიანებისა და ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზის წარმომადგენლები.

● ●

ჯანმრთელობის სპარტაკიადა

„ვოდნიკის“ საქართველოს საბჭომ ამას წინათ ბათუმში ჩაატარა ჯანმრთელობის სპარტაკიადა, რომელშიც საშუალო და უფროსი ასაკის ფიზკულტურელები მონაწილეობდნენ. სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, თევზაობა, ტყვიის სროლა, ბაგირის გადაძალვა.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის კოლექტივმა, რომელმაც გაიმარჯვა ფრენბურთელთა, მაგიდის ჩოგბურთელთა, მოჭადრაკეთა და თევზაობის მოყვარულთა ასპარეზობებში, ხოლო შაშსა და ბაგირის გადაძალვაში II ადგილები დაიკავა.

II ადგილზე არიან ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის წარმომადგენლები, რომლებიც პირველნი იყვნენ ბაგირის გადაძალვაში, ტყვიის მსროლელთა და მოშაშეთა ტურნირებში, ხოლო თევზჭერაში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში II ადგილები დაისაკუთრეს.

პირად ჩათვლაში ტყვიის სროლაში ჩემპიონი გახდა ვ. ერმაკოვი (ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი), თევზაობაში — ა. აბულაძე (ბათუმის საზღვაო ნავსადგური).

● ●

ხალიჩაზე — ჭაბუკები

ბათუმის „განთიადის“ საჭიდაო დარბაზში დამთავრდა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1954-1956 წლებში დაბადებულთათვის.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ხელვაჩაურელებმა. II ადგილზე არიან ქობულეთის რაიონის წარმომადგენლები, III — შუახეველი სპორტსმენები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: დ. კურცხალაძე (ხელვაჩაური), ს. ხოფერია (ქობულეთი), დ. ქაჯაია (ხელვაჩაური), ა. ლაზიშვილი, დ. მეგრელიძე (ორივე — ქობულეთი), ტ. ბერიძე (შუახევი), შ. დევაძე, ი. ფუტკარაძე, ტ. კილაძე, ა. მიქელაძე (ყველა — ხელვაჩაური).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘ, ᲒᲝᲚᲘᲡ, ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲚᲘ

გუშინწინ საბჭოთა კავშირის შვიდ ქალაქში აღინართა სსრ კავშირის XXXIV საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი. გათამაშება დაიწყო.

„ᲧᲐᲜᲐᲗᲘ“ (ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ) — „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) 1:1 (1:0).

ჩემპიონატის პირველი გოლი ამ მატჩში აღინიშნა: მე-4 წუთზე ოსიანინმა მარჯვენა ფლანგიდან მიაწოდა ბურთი და მარკინმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ტორპედოელებმა მხოლოდ მე-80 წუთზე დააღწიეს თავი წაგებას. საპასუხო გოლი შალიმოვმა გაიტანა.

„ᲜᲘᲫᲗᲘᲩᲘ“ (ᲑᲐᲥᲝ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲛᲘᲜᲡᲙᲘ) 1:0.

მატჩის ბედი გადაწყდა 43-ე წუთზე, როცა მინსკელებმა უხეშად ითამაშეს ბანიშევსკის წინააღმდეგ. ჩემპიონატის პირველი პენალტი შესრულა გაჯიევმა.

„ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ (ᲓᲜᲔᲞᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ) — ᲪᲡᲙᲐ 2:1 (2:1).

მიმდინარეობდა შეხვედრის 24-ე წუთი, როცა პორკუიანის ზუსტმა დარტყმამ მიზანს მიაღწია, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ლიაბიჩევი კიდევ უფრო დაწინაურა „დნეპრი“ — 2.0. ტაიმის დასასრულს დოროფეევმა 1 ბურთით შეამცირა ანგარიში. განსხვავება. ეს იყო ცსკა-ს პირველი და უკანასკნელი წარმატება. კიდევ მეტიც: დნეპროპეტროვსკელებს შეეძლოთ მესამე ბურთის გატანა, მაგრამ პილიჩუკმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა.

ᲐᲡᲙ (ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ) — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) 0:1.

თამაში მიმდინარეობდა ძლიერ ქარში, სვლა მინდორზე. სპარტაკელებს გამარჯვება მოუტანა რედინის მიერ 38-ე წუთზე გატანილმა გოლმა.

„ᲙᲐᲠᲞᲐᲗᲘ“ (ᲚᲕᲝᲕᲘ) — „ᲖᲜᲘᲗᲘ“ (ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ) 0:1.

მატჩის 26-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა კოხმა ოსტატურად მოაწოდა კუთხური და ბურთი „კარპატის“ კარში აღმოჩნდა. შესვენების შემდეგ მასპინძლები დიდხანს უტევდნენ, მაგრამ ამაოდ. ერთ-ერთ მომენტში ბურთი სტუმრების კარის ძელს მოხვდა.

„ᲖᲐᲠᲘᲐ“ (ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲒᲠᲐᲓᲘ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲙᲘᲔᲕᲘ) 3:0 (1:0).

შარშანდელი ჩემპიონისა და IV ადგილზე მყოფი გუნდის შეხვედრა უკიდურესად მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა. ვოროშილოვგრადელებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს. უკვე მე-5 წუთზე კიეველთა კარში ბურთი გაიტანა სემიონოვმა. მეორე ტაიმის დასაწყისში ელისეევმა მეორედ აიძულა ჩემპიონი ცენტრიდან დაეწყო თამაში, შემდგომში კი დინამოელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა ჟურავლიოვმა.

სსრ კავშირის პირველობა

მეკარემ იმედი გაამართლა

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 4 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი)— „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი (კუტივაძე, 25-ე წ.), პეტრიაშვილი, გავაშელი, მჭედლიშვილი, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (უიფიანი, 73-ე წ.).

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“: მილესი, ვაშჩენკოვი, გონჩაროვი, კლიკოვი, პერეგონცევი, ეურავლიოვი, ჩესნოკოვი, შელუდკო, დავიდოვი, კოზლოვი, სპირიდონოვი.

მსაჯი ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

დუბლიორები — 3:0 „დინამოს“ სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს წერეთელმა, ქარქაშაძემ და კუტივაძემ.

როცა მონაწილე გუნდების შემადგენლობათა გამოცხადებისას დიქტორმა თბილისის „დინამოს“ მეკარედ დავით გოგია დაასახელა, ტრიბუნებზე აქა-იქ თავშეკავებული, ძუნწი ტაში გაისმა. ეტყობა, ავანსად არავის უნდოდა თავისი დამოკიდებულება გამოეჩინა ჩვენი ახალი მეკარის მიმართ, მაგრამ უკვე თამაშის მსვლელობაში, როცა გოგიამ ორი უძნელესი ბურთი აიღო ჩესნოკოვისა და სპირიდონოვისგან, ჯამაჯერებლად ითამაშა მაღალ ბურთებზე გამოსვლისას, ტაშმა იმატა და მაყურებელმაც სრულად გაიმეტა ის, რაც ახალგაზრდა სპორტსმენმა დაამსახურა. გვინდა იმედი გამოვთქვათ, რომ გოგია ღირსეულად გააგრძელებს თბილისის „დინამოს“ განთქმულ მეკარეთა მდიდარ ტრადიციებს.

XXXIV ჩემპიონატის პირველი მატჩი იოლი არ გამოდგა ჩვენი გუნდისთვის. „ლოკომოტივმა“, რომელიც ორი წლის „შესვენების“ შემდეგ კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას, იბრძოლა უკიდურესი თავგამოდებით, მთელი ძალით, ენერგიით, და აიღო კიდეც დაგეგმილი ქულა. როცა მატჩი დამთავრდა, სტუმრები კმაყოფილი, თავაწეული მიემართებოდნენ გასაჩქარებლისკენ, დინამოელთა შორის კი განვლილი ბრძოლით კმაყოფილი არავინ ჩანდა. დებიუტანტთან საკუთარ მინდორზე ქულის დაკარგვა, რა თქმა უნდა, აშკარა წარუმატებლობაა.

თამაში მოლიანად დინამოელთა ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა. „ლოკომოტივის“ კართან ბევრი კუთხური ბურთი მოაწოდეს. საგოლე ვითარება შეექმნათ გ. და ლ. ნოდიებს, გუცაევს, ყიფიანს, კუტივაძეს. მასპინძლებს მილესის კარის აღება შეეძლოთ შორი დისტანციიდანაც, მაგრამ მატჩის დრო ისე ამოიწურა, გოლის გატანა არ მოხერხდა.

შეცდომა იყო ის, რომ თბილისელებმა ნელ ტემპში, ერთობ აუჩქარებლად დაიწყეს თამაში, რითაც საშუალება მისცეს მეტოქეს მოეწესრიგებინა ლაბირინთი ხაზების ურთიერთმოქმედება. პირველი დამნაშავენი ამაში ნახევარმცველები არიან. თანამედროვე ფეხბურთში ანბანურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის, რომ შუა მინდორში უპირატესობის მოპოვება არ ნიშნავს ბურთის გარდიგარდმო ტარებას, დაყოვნებას, უსარგებლო გადაცემებს, როცა მოთამაშე ამას ასრულებს არა კომბინაციური ჩანაფიქრის განსახორციელებლად, არამედ იძულებით, მხოლოდ ბურთის დაკარგვის საშიშროებისას. რა აზრი აქვს დაკარგო დრო და ეცადო საკუთრივ მიუტანო ბურთი ფეხებში ფორვარდს, რაც იგი ადრევეა ეახსნილი და ტემპში უცდის ზუსტ, შორეულ გადაცემას. გუცაევი, გ. ნოდია ბევრს მოძრაობდნენ, ადგილს იცვლიდნენ, ნახევარმცველები კი ამ მომენტებში უსარგებლოდ კარგავდნენ დროს და ძალას, რომ თვით მისულიყვნენ იქ, სადაც წამის წინ მათი პარტნიორი უყვე იყო. ტემპის დაკარგვა „დინამოთვის“ არც ერთი წუთით არ შეიძლება. ბრძოლა მოითხოვს სისწრაფეს, ჯეუყოვნებლივ კომბინაციურ გადაწყვეტას, მოულოდნელობას. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ჩვენი ნახევარმცველები მთელი შემადგენლობით გადაღიან შეტევაზე და, მოწინააღმდეგე რომ ბურთს იგერიებს, საჩქაროდ არ ბრუნდებიან უკან. ამის გამოც მცველებს დიდ ტერიტორიაზე უხდებათ გაშლა კონტრაერიშის მოსაგერიებლად.

აი, უკვე მერამდენე მატჩია ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო მინდორზე თავისი მთლიანი საბრძოლო შემადგენლობით გამოსვლა. ტრავმები და ავადმყოფობა სისტემატურად თან სდევს წამყვან მოთამაშეებს, ზოგიერთი ვერა და ვერ შევიდა ფორმაში.

ჩემპიონატი ჯერ მხოლოდ დაწყო. იმედია, თბილისელთა კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს, რათა თავი დაღწიოს საგაზაფხულო ხარვეზებს და თავისი ნამდვილი შესაძლებლობანი გვიჩვენოს.

რ. ᲥᲝᲠᲘᲘᲐ.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

ჩვენი გაზეთის 4 აპრილის ნომერში მოთავსებულ სტატისტიკურ მიმოხილვაში—„რომელი გუნდი რა იუბილეს აღნიშნავს“—აბასწორადაა ნაჩვენები „ზენიტის“ კარში გატანილი გოლების რაოდენობა. ლენინგრადელთა კარში წლეულს გატანილი 22-ე გოლი რიგით 1250-ე იქნება.



გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ“ (ᲮᲝᲑᲘ) — „ᲡᲣᲚᲮᲘᲠᲘ“ (ᲕᲐᲜᲘ) 2:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ვანელი ა. საკანდელიძე.

● „ᲡᲐᲛᲪᲮᲔ“ (ᲐᲬᲧᲣᲠᲘ) — „ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ“ (ᲚᲐᲘᲗᲣᲠᲘ) 1:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

დისკიპლინის დარღვევისთვის გაფრთხილება მიეცა ლაითურელ ვ. მურმანიძეს.

● „ᲘᲡᲐᲜᲘ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ (ᲮᲐᲨᲣᲠᲘ) 2:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

თბილისელმა მელიქიძემ მე-13 წუთზე შეძლო ბურთის გატანა, რამაც მისი გუნდის თამაშს დამაჯერებლობა შემატა. შესვენების შემდეგ გაცირიძემ მეორედ აიღო სტუმრების კარი.

● „ᲥᲐᲠᲗᲚᲘ“ (ᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) 3:3. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

27-ე წუთისთვის გორელები ორი ბურთით დაწინაურდნენ (რევაზიშვილი, გელდიაშვილი). მართალია, სულ მალე თბილისელმა სართანიამ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაქვითა ერთი გოლი, მაგრამ ტაიმის დასასრულს ჩოჩიშვილმა კვლავ ორი გოლით დაწინაურა „ქართლი“ — 3:1. მასპინძლები თითქოს ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ ლოკომოტიველებმა კარგად ჩაატარეს მეორე ტაიმი და სართანიასა და ღამბაროვის საპასუხო ბურთების წყალობით იხსნეს ქულა.

მინდვრიდან იქნა გაძევებული გორელი ვ. გუჩაშვილი, გაფრთხილება მიეცათ გ. ჩოჩიშვილს („ქართლი“) და დ. სართანიას („ლოკომოტივი“).

● ᲐᲡᲙ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲔᲒᲠᲘᲡᲘ“ (ᲪᲮᲐᲯᲐᲘᲐ) 3:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

არმიელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ მთელი მატჩის მსვლელობაში. ბურთები გაიტანეს ჩომახიძემ, ალანიამ და ლომიძემ.

● „ᲨᲣᲥᲣᲠᲐ“ (ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ) — „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ (ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ) 3:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ანგარიში ტაიმის დასასრულს გასხნა მუავანაძემ. შემდგომში პოლტარიდმ და ბეჟანიძემ (ვენალტი) „შუქურას“ გამარჯვება განამტკიცეს.

● „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ) — „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“ (ᲗᲔᲚᲐᲕᲘ) 3:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

თამაში ძალიან საინტერესოდ, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა. მასპინძლები დაწინაურდნენ 22-ე წუთზე ბარდაკოვის დარტყმის შემდეგ. თელაველებს უმალვე მიეცათ საპასუხო ბურთის გატანის რამდენიმე საუკეთესო შესაძლებლობა, რომელთაგან ვერც ერთი ვერ გამოიყენეს. შესვენების შემდეგ როგორც კი თამაში განახლდა, დვალიშვილმა მეორედ აიღო სტუმართა კარი. მალე თელაველმა ცირეკიძემ შეძლო განსხვავების შემცირება ანგარიშში, წუთის შემდეგ კი ალიასაშვილის დარტყმული ბურთი სამტრედიელთა კარის ძელს მოხვდა. ასე დაკარგა „კახეთმა“ წაგებისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა, ხოლო როცა ბარდაკოვმა კიდევ ერთხელ ზუსტად დაარტყა, ლოკომოტიველთა გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა.

● „ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔ“ (ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ) — „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ“ (ᲮᲝᲑᲘ) 3:1. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

I ᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა 5 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲕᲐᲠᲙᲔᲗᲘᲚᲘ“ (გარდაბანი)	6	4	2	0	10—4	10
ᲤᲘᲖᲙ. ᲘᲜᲡᲢ. (თბილისი)	6	3	2	1	6—2	8
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (სამტრედია)	5	4	0	1	8—5	8
„ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ“ (გეგეჭკორი)	5	2	3	0	7—3	7
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ზუგდიდი)	6	3	1	2	8—5	7
„ᲘᲡᲐᲜᲘ“ (თბილისი)	6	3	1	2	8—5	7
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (თბილისი)	6	2	3	1	9—7	7
„ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ“ (ლაითური)	6	2	3	1	3—1	7
„ᲨᲣᲥᲣᲠᲐ“ (ქობულეთი)	6	3	1	2	6—5	7
„ᲔᲒᲠᲘᲡᲘ“ (ცხაკაია)	6	2	3	1	4—5	7
„ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“ (თელავი)	5	3	0	2	7—7	6
„ᲡᲐᲛᲪᲮᲔ“ (აწყური)	6	2	2	2	7—9	6
„ᲥᲐᲠᲗᲚᲘ“ (გორის რ-ნი)	6	2	1	3	12—9	5
„ᲡᲣᲚᲮᲘᲠᲘ“ (ვანი)	6	1	3	2	5—3	5
„ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔ“ (ტყიბული)	4	1	2	1	7—6	4
ᲐᲡᲙ (თბილისი)	5	1	2	2	4—3	4
„ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ“ (თბილისი)	4	1	2	1	4—4	4
„ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ“ (ᲮᲝᲑᲘ)	6	1	2	3	5—7	4
„ᲑᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“ (ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ)	6	0	3	3	3—6	3
„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ (ᲮᲐᲨᲣᲠᲘ)	6	1	1	4	6—15	3
„ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ (ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ)	6	1	1	4	4—13	3
„ᲤᲔᲘᲯᲐᲠᲘ“ (ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ)	6	0	2	4	2—11	2

II ᲯᲒᲣᲤᲘ

I ᲖᲝᲜᲐ

„კოლმეურნე“ (ტიბაანი) — „ᲓᲣᲠᲣᲯᲘ“ (ყვარელი) 2:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „შირაქი“ (წითელი წყაროო) 2:1, „ᲨᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ“ (წალკა) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 3:0, „შევარდენი“ (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „ᲕᲐᲠᲓᲘᲐ“ (ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲐ) 2:1, „ᲭᲘᲠᲔᲗᲘ“ (ლაგოდეხი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:2, „ციხეკარი“ (სიღნაღი) — „განთიადი“ (ცხინვალი) 1:0.

II ᲖᲝᲜᲐ

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „დიოსკურია“ (სოხუმი) 3:2, ხის დამამუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „განთიადი“ (აბაშა) 1:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „კახაპერი“ (ხელვაჩაური) 3:3, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (ოჩამჩირე) 2:0, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 4:0, „მზიური“ (გალი) — „განახლება“ (ადიგენი) 1:0, „დიოსკურია“ (სოხუმი) — „სალხინო“ (მაიაკოვსკი) 1:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:4.



პატივი სცეს მეკარის ხსოვნას

4 აპრილს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის 1972 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი. პირველობის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ. ჩემპიონატის ალამი აღმართეს გუნდების კაპიტნებმა მ. ხურცილავამ და ვ. შელუდკომ.

მატჩის დაწყების წინ ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს თბილისის „დინამოს“ მეკარის, სპორტის ოსტატ თ. სტეფანიას ხსოვნას.

• • •

სურათზე: დინამოელები წუთიერი დუმილის დრო.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ

ᲠᲐᲜᲒᲣᲜᲘ, 5 აპრილი. ბირპის ფეხბურთელთა ნაკრებმა ყველას აჯობა აზიის II ჯგუფის შესარჩევ ტურნირში და მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვური შთაბეჭდილებები

4. შთამბეჭდავი გამოფენა

ჭადრაკისადმი მიძღვნილი ბევრი საინტერესო, უნიკალური წიგნი, ჟურნალი და ბიულეტენი მინახავს, მაგრამ ის, რაც საკავშირო ოლიმპიადის დღეებში ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, რუსული და საბჭოთა საჭადრაკო ლიტერატურის გამოფენაზე ვნახე, ყოველივეს აღემატებოდა.

მოკრძალებით ავიღე ხელში ი. ბუტრიმოვის სახელმძღვანელო — რუსეთში 1821 წელს გამოცემული პირველი საჭადრაკო წიგნი. ავტორს დიდი შრომა გაუწევია ამ წიგნის შესადგენად: მას ხომ წინამორბედი არ ჰყავდა. იქვე იდო პირველი რუსი ოსტატის ა. პეტროვის სახელმძღვანელო, რომელიც 1824 წელს დაისტამბა. ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი მანამდე ლენინგრადში ა. პუშკინის სახლ-მუზეუმში ვნახე. იგი დიდი პოეტისთვის თვით პეტროვს უჩუქნია გულთბილი წარწერით.

ყველა ძველი, XIX საუკუნეში გამოცემული წიგნი ორ კარადაში ეჭიედა. შეიძლებოდა მათი აღება, გადაფურცვლა, იქვე ჭადრაკის გაშლა და პარტიების გათამაშება.

— ეს წიგნები იმდენად უნიკალურია, რომ ჩვენს ბიბლიოთეკამაც არა გვაქვს, — მითხრა საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელმა. — ისინი ექსპოზიციისთვის სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ბიბლიოთეკამ გვათხოვა. დანარჩენი წიგნები ჩვენი ფონდიდანაა.

წიგნები გამოფენილი იყო თემების, საკითხების მიხედვით. აი, ზოგიერთი ექსპოზიციის დასახელება: „რუსეთის ჭადრაკის ისტორია. სამამულო საჭადრაკო სკოლა“, „საჭადრაკო შეჯიბრებები სსრ კავშირში, საერთაშორისო ტურნირები“, „დებიუტების, შუა თამაშის, ენდშპილის თეორია“, „სახელმძღვანელოები, წიგნები ახალბედებისთვის, სასწავლო პროგრამები“, „საჭადრაკო მუშაობის ორგანიზაცია“, „უცხოეთში გამოცემული საბჭოთა ავტორთა წიგნები“, „თარგმნილი ლიტერატურა“, „ბიულეტენები, ჟურნალები, „64“, სპეციალური გამოცემები“, „საჭადრაკო კომპოზიცია“...

ამ ექსპოზიციებში ბევრი ძვირფასი ნაშრომი იყო წარმოდგენილი. მათს დიდ ნაწილს კარგად იცნობს საბჭოთა მკითხველი.

— გამოფენისთვის საგანგებოდ გავეცანით ზოგიერთ მონაცემს, — მოამბობდა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ის მთავარი რედაქტორის მოადგილე, საერთაშორისო ოსტატი მ. იუდოვიჩი — საინტერესოა, რომ 1821-1917 წლებში რუსეთში გამოცემული იყო 203 დასახელების საჭადრაკო წიგნები, სულ 3 ათასი ცალი. მაგალითად, პეტროვის სახელმძღვანელო 300 ცალი გამოვიდა, მაშინ, როცა 1964 წელს პანოვის „მოჭადრაკის პირველი წიგნი“ 200 ათასი ეგზემპლარით დაისტამბა.

ცალკე იყო გამოფენილი მოძმე რესპუბლიკებში გამოცემული საჭადრაკო წიგნები. მათ ასეთი წარწერა ჰქონდათ: „სსრ კავშირში საჭადრაკო ლიტერატურა 18 ენაზე გამოიცემა“.

ესტონეთის წიგნები. აქ იყო პ. კერესის სადებიუტო გამოკვლევები, ი. ნეის, ი. ლუიკისა და სხვათა ნაშრომები. უზბეკეთის განყოფილებაში წარმოედგინათ მ. მუხიტდინოვის წიგნები, ბელორუსიას გამოეტანა ა. სოკოლსკის სახელმძღვანელო, პარტიების კრებული და სხვ.

— თქვენი რესპუბლიკის წიგნებიც გვაქვს გამოფენილი, — მომიწვია ერთ-ერთ კარადასთან ბიბლიოთეკის თანამშრომელმა. — ალბათ გეცოტავებათ, მაგრამ საქართველოში იმდენი წიგნი, ბროშურა და ბიულეტენი გამოდის, ყველა რომ გამოგვეფინა, ორი კარადაც არ გეყოფოდა.

ამ მობოდიშების მიუხედავად, გული დამწყდა, რომ ექსპოზიციაში არ იყო მ. საყვარელიძის, ვ. გოგლიძის, ა. ფირცხალავას, გ. მახარაძის, ტ. აბრამიშვილის წიგნები, ა. ებრალიძის მაერ გადმოქართულებული ჟ. ლასკერის, ხ. კაპაბლანკას, მ. ეიგეს, ი. ავერბახის ნაშრომები, ბევრი სპეციალური ბიულეტენი, დიდი ტურნირების დროს თბილისში რომ გამოდიოდა და სხვ.

მნახველებს სთავაზობდნენ მხოლოდ ამ წიგნებს: გ. გამრეკელის „ჩემპიონები და პრეტენდენტები“, მ. ვადბოლსკის „მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები ჭადრაკის ისტორიაში“, თ. გიორგაძის „ჭადრაკის ანბანი“, „ჭადრაკი ძველ საქართველოში“ და მსოფლიო პირველობაზე ნონა გაფრინდაშვილის მატჩებისადმი მიძღვნილი ნაშრომები. გამოფენილი იყო, აგრეთვე, ალმანახი „ჭადრაკი“.

გამახსენდა, რომ თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ინახება ბევრი ბიბლიოგრაფიულად იშვიათი საჭადრაკო წიგნი რუსულ და უცხოურ ენებზე, აგრეთვე, ქართულად დასაბეჭდული საჭადრაკო ლიტერატურა: წიგნები, ბროშურები, ბიულეტენები... რატომ არ შეიძლება ერთხელ მაინც თბილისშიც მოვაწყოთ საჭადრაკო ლიტერატურის გამოფენა? დარწმუნებული ვარ, მას საკმაოდ ბევრი მნახველი ეყოლება

საჭადრაკო წიგნის გამოფენა ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ოლიმპიადის ყველა მონაწილემ ნახა. იყვნენ სტუმრებიც — ფიდე-ს პრეზიდენტი, პროფესორი მ. ეიგე, ფიდე-ს ბიუროს წევრები და სოციალისტური ქვეყნების ჭადრაკის მესვეურნი. მ. ეიგემ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა:

„გამოფენა კარგად გვიჩვენებს საჭადრაკო აზრის განვითარების ისტორიას რუსეთსა და საბჭოთა კავშირში. ეს იშვიათი, უნიკალური გამოფენაა და შთაბეჭდილებაც დიდია“.

თ. გიორგაძე.

საბჭოთა

ბაკურიანში დამთავრდა საშუალო ასაკის მოზარდთა საკავშირო ჩემპიონატი სამთოსათხილამურო სპორტში. ბოლო სახეობა იყო სპეციალური სლალომი რომელიც ორ ეტაპად გაიმართა. თავდაპირველად მოეწყო წინასწარი ტურნირი საიდანაც ფინალში უძლიერესები გადიოდნენ.

თბილისელმა კ. ურუშაძემ („დინამო“) ჭაბუკთა წინასწარ შეჯიბრებაში პირველივე ცდა მოიგო (41,6), მაგრამ მეორე ცდაზე რბოლა ვერ დაამთავრა. გამარჯვება ტერსკოლელ დ. გულიევს („ლოკომოტივი“) დარჩა, რომელმაც 450-მეტრიან ტრასაზე მოწყობილი 47 კარის გავლას პირველი ცდით 42,6 წამი მოანდომა, ს. მიშიუტინსკისა (განათლების სამინისტრო) და ს. პიკუზოს („ტრუდი“ I) 0,2 წამით აჯობა.

მეორე ცდაზე ბედმა მიშიუტინსკისაც უმტყუნა და სპორტსმენმა ამ სახეობაში გადამწყვეტ ბრძოლაში მონაწილეობის უფლება დაკარგა. გულიევმა ამჯერადაც იმარჯვა (36,1) და ფინალურ ტურნირში საუკეთესო შედეგით გავიდა. ამ გამარჯვებით გულიევი სამჭიდში ჩემპიონი გახდა.

წინასწარ ტურნირში მეორე შედეგი (1.20,4) აღმოაჩნდა პიკუზოს, რომელმაც სამჭიდში საბოლოოდ ჯერცხლის მედალი მიიღო. ბრინჯაო ხვდა ვ. შჭერბაკოვს („სპარტაკი“), რომელიც სპეციალურ სლალომში ფინალში მეხუთე შედეგით (1.22,6) გავიდა.

გიგანტურ სლალომში სსრ კავშირის ჩემპიონსა და სწრაფდაშვებაში ბრინჯაოს პრიზიორს, თბილისელ გ. ლომინაძეს („დინამო“) სამჭიდში ჯამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ მას სპეციალურ სლალომში ჩემპიონობაც სურდა, ფინალურ ტურნირში აჩქარდა, ერთ-ერთი კარი გამოტოვა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

სპეციალური სლალომის ფინალში ყველას აჯობა პიკუზომ (1.19,1), რომელმაც ოქროს მედალი დაისაკუთარა. II ადგილზე გავიდა ა. ბოროვსკიხი („ბურევესტნიკი“) — 1.20,4, III — ვ. სინეტოვი („სპარტაკი“) — 1.20,5.

გოგონათა სპეციალურ სლალომში წინასწარი ასპარეზობაც (1.11,3) და ფინალური ტურნირიც (1.15,3) სპარტაკელმა ტ. პერჩატკინამ მოიგო. მაგრამ სამჭიდში ჩემპიონობისთვის ეს არ კმარობდა, ვინაიდან წინა სახეობებში სპორტსმენს ხელი მოეცარა.

სპეციალურ სლალომში ვერცხლის მედალი მიიღო ე. ბაუკონენმა („ლოკომოტივი“) — 1.15,9, ბრინჯაოსი — ო. აგრანოვსკაიამ („დინამო“) — 1.16,8. სამჭიდში შეჯიბრების ლიდერმა ვ. ივანენკომ („შრომითი რეზერვები“), რომელსაც სპეციალური სლალომის წინასწარ შეჯიბრებაში მეოთხე შედეგი (1.17,6) ჰქონდა, ფინალური ტურნირიც კარგად ჩაატარა და სამჭიდის ჯამში სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. II და III ადგილებზე საუკონენი და ნ. რუსანიუკი („ავანგარდი“) გავიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს „ტრუდის“ პირველი ნაკრების სამთომოთხილამურეებმა, რომლებმაც 555 ქულა მოაგროვეს. II ადგილზეა „ლოკომოტივი“ — 483, III — „ავანგარდი“ — 412. „სპარტაკისა“ და „დინამოს“ კოლექტივებს თანაბარი ქულები (402) დაუგროვდათ, მაგრამ IV ადგილი „სპარტაკს“ ხვდა.

ო. ივდოშვილი.

პრაღის ყინულზე საასპარეზოდ

მოსკოვი, 5 აპრილი. დღეს დილით ჰოკეისტთა 39-ე მსოფლიო ჩემპიონატში საასპარეზოდ პრაღაში გაფრინდა სსრ კავშირის ნაკრები, გუშინ კი მისმა ხელმძღვანელებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ვ. ბობროვმა და ნ. პუჩკოვმა გუნდის შემადგენლობა დაასახელეს.

საბჭოთა ჰოკეის ღირსებას ჩეხოსლოვაკიის სარბიელზე დაიცავენ: მეკარეები ვ. ტრეტიაკი (ცსკა) და ვ. შეპოვალოვი (ლენინგრადის ასკ), მცველები ა. რაგულინი, გ. ციგანკოვი, ვ. კუზკინი, ვ. ლუტჩენკო, ა. გუსევი, ი. რომიშევსკი (ყველა — ცსკა), ვ. ვასილიევი (მოსკოვის „დინამო“), თავდამსხმელები ვ. ხარლამოვი (ცსკა) — ა. მალცევი (მოსკოვის „დინამო“) — ვ. ვიკულოვი (ცსკა); ბ. მიხაილოვი — ვ. პეტროვი — ი. ბლინოვი (ყაზანი — ცსკა); ვ. სოლოდუხინი (ლენინგრადის ასკ) — ვ. შადრინი — ა. იაკუშევი (ორივე — მოსკოვის „სპარტაკი“); ე. მიშაკოვი (ცსკა), ვ. ანისინი (მოსკოვის „კრილია სოვეტოვი“). სათადარიგო მეკარე ა. პაშკოვი (მოსკოვის „დინამო“) შინ დარჩა. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა საპოროში. ოლიმპიელ ჩემპიონთაგან ამჯერად მსოფლიო ჩემპიონატში არ გამოვლენ, აგრეთვე, ვ. დავიდოვი და ა. ფირსოვი.

* * *

სურათებზე: სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ბობროვი (მარჯვნივ) და მწვრთნელი ნ. პუჩკოვი; ნაკრები ვარჯიშის დროს. მარცხნიდან — ვ. შადრინი, ვ. ლუტჩენკო, ვ. ვიკულოვი, ვ. ხარლამოვი, ი. რომიშევსკი. კარში დგას ვ. ტრეტიაკი.

ვ. უნ და-სინისა და ვ. კოშევოის ფოტოსურათები (საკდესი).



ათასი მოჭადრაკის ტურნირი

ათასი მოჭადრაკის ტურნირში გაიმარჯვა 20 წლის იან ესლომმა (ფალჩეპინგი), რომელმაც 1969 წელს I ადგილი დაიკავა ამავე ტურნირში, ოღონდ იუნიორთა შორის.

შუსტად ათასი მოჭადრაკე — არც მეტი და არც ნაკლები — ზეგვდა ერთმანეთს სტოკჰოლმის რატუშაში, რათა უძლიერესი შეეპოვარ ბრძოლაში გამოვლენილიყო. შვეიცარიის ეს ტურნირი მეექვსედ ტარდება და ყოველწლიურად სულ უფრო პოპულარული ხდება.

ტურნირის ორგანიზაცია ასეთია: იქმნება 100 ჯგუფი, თითოეული 10 კაცის შემადგენლობით. პირველ დღეს ყლინდებიან ჯგუფებში გაბარჯვებულნი რომლებიც შემდეგ ერთმანეთს შორის ურთიერთობას არკვევენ.

სტოკჰოლმის რატუშის ვეებერთელა დარბაზი ასეთი დიდი ტურნირისთვის შესანიშნავი სარბიელია. იგი მონაწილეებსაც იტევს, მსაჯთა კოლეგიასაც და აუდიტორიასაც.

ამ შეჯიბრებაზე დასწრეთა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მალმელმა მოჭადრაკემ, 14 წლის ჭარი შოსლერმა. მან თავის ჯგუფში გაიმარჯვა და გაიარა ფინალში. სადაც IV ადგილი დაიკავა. შოსლერს დიდ საჭადრაკო კარიერას უწინასწარმეტყველებენ.

მ. კოსოვი.

სტოკჰოლმი.

საჯარო ბიბლიოთეკა

ესპანეთი ეჯვეჯი-72

● მადრიდი, 4 აპრილი. ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო სახეობაში — ხმლით შეჯიბრებაში ყველას აჯობა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. პავლენკომ. ესპანეთის დედაქალაქის გაზეთები ჩემპიონატის შედეგების შეჯამებისას განსაკუთრებით აღნიშნავენ საბჭოთა გუნდის წარმატებას, რომელსაც სამშობლოში ოქროს 2, ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი (სულ 12 ჯილდო იყო) მიაქვს.

● მონტე-კარლო, 4 აპრილი. მოსკოველმა ო. მოროზოვამ ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელთან ი. კუკალთან შერეულ წყვილში ყველას აჯობა მონტე-კარლოს ღია პირველობაში. ამ ინტერნაციონალურმა დუეტმა გადამწყვეტ მატჩში სძლია იტალიელებს ლ. პერიკოლისა და ჯ. მაიოლის — 6:4, 6:4. მოროზოვა ქალთა წყვილების ფინალშიც ვავიდა (გფრ-ის წარმომადგენელ ჰ. მასტჰოფ-ნისენთან ერთად), მაგრამ წაგო პერიკოლისთან და მის თანამემამულე ლ. ბასისთან — 4:6, 4:6. ვაჟთა შორის გაიმარჯვა რუმინელმა ი. ნესტასენ, რომელმაც ფინალში მოუგო ფ. პალას (ჩეხოსლოვაკია) — 6:1, 6:0, 6:3. ქალთა ერთეულების ფინალურ მატჩში ინგლისელმა გ. კოულსმა სძლია ფრანგ მ.-კ. ბრუსარს — 6.0, 6:2.

● სარაევო, 4 აპრილი. აქ გრძელდება ტრადიციული, XV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. გათამაშდა კიდევ ორი (X, XI) ტური. 9 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა საბო (უნგრეთი), რომელმაც მოიგო ორივე შეხვედრა — იუგოსლავიელებთან კოშანსკისთან და ვუკიჩთან. პეტროსიანმა (სსრ კავშირი) ორივე პარტია ყაიმით დაამთავრა: იუგოსლავიელ გაშიჩთან და თანამემამულე კერესთან. მას 8 ქულა აქვს. ლიდერთა ჯგუფში არიან აგრეთვე იანსა (ჩეხოსლოვაკია) — 6,5 (2), კერესი — 6 (1) და ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 5,5.

ესპანეთი ეჯვეჯი-72

მიიღეთ მონაწილეობა კონკურსში!

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია და თბილისის ტურისტული კლუბი 1972 წლის 5 მაისს ტურისტულ კლუბში აწყობენ ტურისტული საველე ფურცლების, კედლისა და ფოტოგაზეთების საქალაქო დათვალიერება-კონკურსს, მიძღვნილს პრესის დღისადმი.

დათვალიერებაში I, II და III ადგილებზე გასული გაზეთების რედაქტორები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით, ხოლო ტურისტული სექციები — შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

მასალები მიიღება თბილისის ტურისტულ კლუბში ყოველდღე, 4 მაისამდე. შემდგომში ექსპოზიცია გამოფენილი იქნება იმ საწარმოში ან დაწესებულებაში, რომლის გაზეთიც კონკურსში გაიმარჯვებს.

დათვალიერება-კონკურსის ჟიური.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ბეჭდვა. ლენინის ქ. № 14. უე 02598